ბრძანება:**ბ47.47221651**
თარიღი:**14/06/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 21 ივნისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თამარ ახალაძე

1.2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

1.4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

1.5. 2022 წელში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი